სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00008413

06/05/2020

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №1119 განკარგულების საფუძველზე შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის" (შემდგომში - ჰოსპიტალი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, უსასყიდლოდ გადაეცა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, 5 წლის ვადით.

სამწუხაროდ, შენობა-ნაგებობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გამო, ჰოსპიტალში სამედიცინო მომსახურება მხოლოდ 2017 წლის ბოლოს და ისიც შეფერხებით მიმდინარეობდა. საჭირო იყო შესაბამისი ფართის მოძიება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჰოსპიტალის ნორმალური ფუნქციონირება, ხოლო მანამდე საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე ხორციელდებოდა ჰოსპიტალისთვის სამსახურის ასიგნებებიდან, მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელი თანხების გამოყოფა. აღნიშნულის შედეგად მოხერხდა ჰოსპიტალის პერსონალის შენარჩუნება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შენობა-ნაგებობების დაცვა.

2017 წლის 25 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამსახურს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოსცა ქ. თბილისში, ს. კედიას ქ. №7-ში მდებარე ფართი, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ჰოსპიტალის განთავსება. ამ მიზნით, შენობაში განხორციელდა აუცილებელი სარემონტო სამუშაოები და გატარდა რიგი ღონისძიებები (ავეჯის, კომპიუტერული ქსელის, სამედიცინო აპარატურის და ინვენტარის შესყიდვა/მონტაჟი და სხვა).

ასევე აღსანიშნავია, რომ სამსახურთან თანამშრომლობის საფუძველზე, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტის ფარგლებში გამოიყო 300 000 აშშ დოლარი ჰოსპიტალის სტომატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, გინეკოლოგიური და კარდიოლოგიური აღჭურვილობის, ასევე ულტრაბგერითი აპარატურისა და ენდოსკოპიური

07.05.20

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმონერა/
ელექტრონული შტამპი

და ფიზიკური თერაპიისთვის აუცილებელი აღჭურვილობის შესაძენად. ამასთან, 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილია დამატებით 300 000 აშშ დოლარამდე დაფინანსების გამოყოფა კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

არსებული მდგომარეობით, ჰოსპიტალის სრულყოფილი ფუნქციონირების საჭიროა თანამედროვე სტანდარტების რენტგენის აპარატის შეძენა და ჰოსპიტალის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ჰოსპიტალის დროული და ეფექტური ფუნქციონირება წარმოადგენს ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს, გთხოვთ დაავალოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განხილულ იქნეს ჰოსპიტალისთვის გადასაცემად რენტგენის აპარატის შესყიდვისა და ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ რეგულაციების მოქმედებაზე (გეგმურ ამბულატორიული მომსახურების პროგრამაში მონაწილეობა; ბენეფიციართა გადინება/შედინება; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის გუნდთან მიმაგრებული მოსახლეების საერთო რაოდენობის ზედა ზღვარი) ჰოსპიტალისთვის გამონაკლისის დაშვების საკითხების განხილვა. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად შედგა წინასწარი მოლაპარაკებები.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე